მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის

KA000077959794818

№ **ს-413** **26 / თებერვალი / 2018 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-26-ე და 43-52 მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის განხილვის მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი - გიორგი კაპანაძე;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - თეიმურაზ ჯერვალიძე;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზურაბ მარსაგიშვილი;

გ.ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ანა მამაგეიშვილი;

დ) კომისიის მდივანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების მე-4 რანგის მე-2 კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - თამთა აბუაშვილი;

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე